ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N2

20 ნოემბერი, 2017 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

16:30 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, ბ. დავითულიანი, ე. კუხიანიძე, გ. გოცირიძე, ქ. ჯოხაძე, ვ. ძნელაძე. ნ ვაჩეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე, მოწვეული სტუმრები:

1. გაიოზ თალაკვაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. ზაზა ცინაძე - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (#12-031731434-03; 10.11.2017).
   მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე
   თანამდებობა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელიც კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ სხდომას ესწრებოდა ქ. თბილისის მერიის საფინასო საქალაქო სამსახურის უფროსი ბატონი გაიოზ თალაკვაძე, რომელიც წარადგენს ინფორმაციას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითად პარამეტრებზე.

ქალბატონმა თამარმა ასევე აღნიშნა, რომ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, ქ. თბილისის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ქ. თბილისის მერის, ბატონი კახა კალაძისა და პოლიტიკური პარტიის ,,ქართული ოცნება" საარჩევნო პროგრამას. შესაბამისად, 2018 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში აუცილებელია ამ პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი რესურსების გათვალისწინება.

ამის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი ბატონი გაიოზ თალაკვაძე, რომელმაც დეტალურად წარმოადგინა ქ. თბილისის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ ინფორმაცია.

ბატონი გაიოზ თალაკვაძე მიესალმა კომისიის სხდომაზე დამსწრეებს და აღნიშნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტით, ბიუჯეტის მოცულობა 815 მლნ. ლარით განისაზღვრა, რაც წინა წელს დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 14 მლნ. ლარით მეტია. ბიუჯეტის ხარჯები პრიორიტეტების მიხედვით, შემდეგნაირადაა გადანაწილებული:

1) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 125 141 000 ლარი;

2) ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 153 819 800 ლარი;

3) ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 85 089 300 ლარი;

4) ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 7 655 000 ლარი;

5) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება – 29 826 600 ლარი;

6) ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 191 112 900 ლარი;

7) განათლება - 117 150 200 ლარი;

8) კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 27 131 600 ლარი;

9) საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3 158 300 ლარი

10) თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 75 124 600 ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შემდეგ, სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს სთხოვა, წარმოედგინათ კითხვები მათთვის საინტერესო თემებთან დაკავშირებით.

პირველი კითხვით მერიის წარმომადგენელს მიმართა თავად კომისიის თავმჯდომარემ, რომელიც დაინტერესდა, თუ რა დაფინანსებაა გათვალისწინებული 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის.

საპასუხოდ, ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ბაღების ბიუჯეტი დაგეგმილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებათა აღსაზრდელებისა და შესაბამისი ვაუჩერების რაოდენობის მიხედვით. ასევე, გათვალისწინებულია მშენებარე ბაღების სამშენებლო სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო თანხები. აგრეთვე, მისი თქმით, იგეგმება 10 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის დაწყება.

საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თინათინ ნიბლიშვილმა აღნიშნა, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოცემული დროისთვის წამოწეულია რამდენიმე საკითხი, რომლებიც პრიორიტეტულია. აღნიშნულს მისი თქმით, ადასტურებს მოსახლეობის მდგომარეობა, ასევე ჩატარებული კვლევები. საქმე ეხება, ქუჩების გადანომრვას და საინფორმაციო დაფების განთავსებას. 2018 წლის წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში კი გათვალისწინებული თანხმები არასაკმარისია არსებული დაუნომრავი ქუჩების დანომვრისათვის, რათა მოქალაქეებისთვის და ტურისტებისთვის უფრო საინტერესო გახდეს ისინი.

შესაბამისად, ქალბატონმა თინათნმა განაცხადა, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია შესაბამის შენიშვნას წარუდგენს თბილისის მერიას და

გამოთქვა იმედი, რომ 2018 წლის ბიუჯეტის რედაქტირებულ ვარიანტში ასახული იქნება აღნიშნული შენიშვნა.

ბატონმა გაიოზმა პასუხად, აღინშნა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებული იქნება კომისიის მიერ წარდგენილი შენიშვნა. ქალბატონი თინათინის თქმით, ქუჩების გადანომრვა ახალი სტანდარტით დაწყებულია 2017 წელს და ჯერ მხოლოდ 600-მდე ქუჩაა დანომრილი, რაც უნომრო ქუჩების მხოლოდ მცირე ნაწილია, ამიტომ მიზანშეწონილია ბიუჯეტის დაფინანსების გაზრდა ამ ღონისძიებების ჩასატარებლად. მან ასევე აღნიშნა, რომ საჭიროა საინფორმაციო დაფების განთავსება დედაქალაქში.

აღნიშნულს გამოეხმაურა განათლებისა და კულტურის კომისიის წევრი, ბატონი ვლადიმერ ძნელაძე. მისი თქმით, საინფორმაციო დაფების განთავსება მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ტურისტულ ზონებში, რასაც დაეთანხმა ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი და დამატებით განმარტა, რომ კარგი იქნებოდა, საწყის ეტაპზე, აბრების რაიონების მიხედვით გადანაწილება.

კომისიის თავმჯდომარის, ქალბატონი თამარ ტალიაშვილის განმარტებით, თბილისის ახალი მერისა და მისი გუნდის მიერ გაჟღერებულ იქნა, რომ 2018 წლის ბიუჯეტის პროექტს დაემატება მრავალი ახალი პროგრამა, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს წინასაარჩევნო დაპირებასთან. ამავე პოზიციას აფიქსირებენ საჯარო განცხადებებისას ქ. თბილისის საკრებულოს წევრები. ბიუჯეტის დღეს წარმოდგენილი პროექტი ვერ უზრუნველყოფს თბილისის მოსახლეობის მიერ მხარდაჭერილი წინასაარჩევნო პროგრამის იმპლემენტაციას.

შესაბამისად, ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ ამჟამად იგი თავს შეიკავებს კონკრეტულ საბიუჯეტო მუხლებზე საუბრისგან, ვინაიდან ცხადია, რომ თბილისის მერი და მისი გუნდი გამოთქვამენ მზაობას და სურვილს, უზრუნველყონ ბიუჯეტის შესაბამისობა განცხადებულ პრიორიტეტებთან. ამიტომ, მან შესთავაზა კომისიის წევრებს კომისიის დასკვნაში ყურადღება გამახვილდეს სწორედ ამ ასპექტზე.

ქალბატონმა თამარმა, ასევე აღნიშნა, რომ სურს უპასუხოს ქ. თბილისის საკრებულოს სხდომაზე ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ გაჟღერებულ მცდარ მოსაზრებას თბილისის სახელოვნებო სკოლების დაფინანსების საკითხზე. კერძოდ, საკრებულოს სხდომაზე ოპოზიციის წევრებმა აღნიშნეს, რომ სახელოვნებო სკოლების სოციალურად დაუცველი მოსწავლეები იღებენ ვაუჩერს, ხოლო ასეთი სტატუსის არმქონე ნიჭიერი სტუდენტები არ ფინანსდებიან. ქალბატონმა თამარმა განმარტა, რომ 2014 წელს თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, შემუშავდა წესი და იგი

მოიცავს, როგორც სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა, ასევე ნიჭიერებისა და წარჩინებულების დაფინანსებას თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი საბიუჯეტო პროგრამებიდან. აქედან გამომდინარე, ოპოზიციის მიერ გაჟღერებული პრობლემა არ არსებობს და ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. დეპუტატმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია, შეკითხვის ავტორმა, სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა დაფინანსების სახსრები ვერ ამოიკითხა ბიუჯეტის სოციალურად დაუცველთა დახმარების მუხლებში, ეს ბუნებრივიცაა, რადგან წარჩინებულ და ნიჭიერ მოსწავლეთა დაფინანსება მუნიციპალურ სახელოვნებო სკოლებში ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის ,,კულტურის'' პროგრამების მუხლებიდან და არა სოციალურად დაუცველთა დაფინანსების საბიუჯეტო მუხლებიდან.

კომისიის წევრი, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა ფინანსდება, თუ არა, ყველა წარჩინებული მოსწავლე მოცემული პროგრამის ფარგლებში და ხომ არ არის რაიმე გამონაკლისები.

საპასუხოდ, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ადრე მხოლოდ სოციალურად დაუცველი ნიჭიერი მოსწავლეები იღებდნენ დაფინანსებას, დღეისთვის კი, ასევე ფინანსდება წარჩინებულებიც, რომლებსაც სოციალურად დაუცველის სტატუსი არ აქვთ.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა ყურადღება ასევე, გაამახვილა მულტიფუნქციური ახალგაზრდული ცენტრების მშენებლობის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ თბილისის ბიუჯეტში ასახული უნდა იყოს აღნიშნული ობიექტების მშენებლობისთვის საჭირო სამუშაოები.

საკითხთან დაკავშირებით, აზრი გამოთქვა კომისიის წევრმა, ბატონმა ბექა დავითულიანმა. მისი თქმით, შეუძლებელი იყო ერთ სივრცეში ახალგაზრდებისათვის სპორტული, საგანმანათლებლო, კულტურული სივრცეების თავმოყრა, შესაბამისად, იყო რეკომენდაცია, რომ აღნიშნული დაწესებულებები ცალ-ცალკე გადანაწილებულიყვნენ.

კომისიის წევრის, ბატონი ვლადიმერ ძნელაძის თქმით, ბუნებრივია, მსგავსი დანიშნულების შენობა-ნაგებობები სწრაფად ვერ აშენდება, თუმცა, თუ სწორად შეირჩევა მათი ადგილმდებარეობა, ხანგრძლივ პერსპექტივაში, თუნდაც 10 წელიწადში, შეიძლება მსგავსი პროგრამის განხორციელება, როდესაც ცალკე პროფილის დაწესებულებები მოემსახურება ახალგაზრდობას სპორტის, განათლებისა და კულტურის სფეროებში.

კომისიის წევრი, ქალბატონი მარიკა დარჩია დაინტერესდა თბილისის მუზეუმების გაერთიანების შედეგად შეიცვალა თუ არა მათი დაფინანსების პრინციპი.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება ქ. თბილისის მერის მიერ კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენის შემდეგ. მანვე განმარტა, რომ კომისია ხელს უწყობს თბილისის სახელოვნებო სკოლების, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისა და სახლის ფილიალების, ბიბლიოთეკებისა და მედიათეკების განვითარებას. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკებში უმძიმესი პრობლემები იყო და მისი წიგნადი ფონდის გაციფრულებაზე საუბარიც არ შეიძლებოდა. სახელოვნებო სკოლები კი, ვერ იხდიდნენ კომუნალურ გადასახადებს, არ მუშაობდა ცენტრალური გათბობა და მოსწავლეებს მკაცრ პირობებში უწევდათ სწავლა. თბილისის მუნიციპალიტეტმა 2014 წელს საკუთარ თავზე აიღო სახელოვნებო სკოლების კომუნალური გადასახადების დაფარვა, აღირიცხა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები, მათ შორის, განხორციელდა თოჯინების მუზეუმის ექსპონანტების აღნუსხვა. თბილისის მუნიციპალიტეტმა დაიწყო კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სასწავლო პროცესის შინაარსის განახლებაც. განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციატივით, დაიწყო მუზეუმების მნახველთა აღნუსხვა და რიგი სხვა აქტივობები. ჩამოყალიბდა თბილისის მუზეუმების გაერთიანება, რომელიც მუშაობს მუზეუმების განვითარების სტრატეგიაზე. კომისია აქტიურად თანამშრომლობს თბილისის მერიასთან, ასევე აღსანიშნავია, რომ გაფორმდა მემორანდუმი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ უკვე არსებობს წარმატებული მუშაობის პრაქტიკა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიისა და თბილისის მერიის ურთიერთთანამშრომლობის, რაც გამოიხატება ისეთ ფუნდამეტურ საკითხებზე მუშაობის დაწყებით, როგორიცაა თბილისის კულტურის სტრატეგია, ასევე, არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მოდერნიზაცია. მან აღნიშნა, რომ ყველა ეს ინიციატივა წარედგინა მერიას განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ, რაზეც მერიამ შესაბამისი რეაგირება გააკეთა.

ქალბატონი მარიკა დარჩიას თქმით, მუნიციპალური მუზეუმები დღეს რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან და მიზანშეწონილია სპეციალური ფონდების ფორმირება, რომლებიც წარმატებით ფუნქციონირებენ უცხოეთში.

მუნიციპალურ ბიბლუოთეკებთან დაკავშირებით, ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი დაინტერესდა, თუ რომელი ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია ჩატარდა. კომისიის თავმჯდომარემ საპასუხოდ განმარტა, რომ განახლდა თბილისის მთავარი ბიბილიოთეკის სამკითხველო დარბაზი, აღირიცხა მისი წიგნადი ფონდი, ასევე განახლდა ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე ბიბლიოთეკა.

ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილის თქმით, მხოლოდ ბიბლიოთეკების კომუნალური დაფინანსება საკმარისი ვერ იქნება და უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი აქტივობებიც.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, მუნიციპალური ობიექტები ფინანსდებიან ბიუჯეტის ცალკეული მუხლებით, თუმცა, დამატებითი სახსრების გამოყოფის მიზნით და შესაბამისი პროექტების დაფინანსების მიზნით, მათ შეუძლიათ მიმართონ თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს და კულტურული ღონისძიებების დაფინანსების საბიუჯეტო მუხლიდან მიიღონ დამატებითი თანხა.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

გაიოზ თალაკვაძემ, თამარ ტალიაშვილმა, ბექა დავითულიანმა, ვლადიმერ ძნელაძემ, მარიკა დარჩიამ, თინათინ ნიბლოშვილმა, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე (№12-031731434-03; 10.11.2017) შესაბამისი შენიშვნების წარდგენის თაობაზე.

მომხრე ---------- 9
წინააღმდეგი ---------- 0
თავი შეიკავა ---------- 0

განათლების და კულტურიუს კომისიამ -,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (№12-031731434-03; 10.11.2017) განხილვისა და მსჯელობის შედეგა, ერთხმად გადაწყვიტა, რომ:

თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი არ ასახავს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ქ. თბილისის მერისა და პოლიტიკური პარტიის ,,ქართული ოცნება'' წინასაარჩევნო პროგრამაში აღწერილი მიმართულებების იმპლემენტაციისთვის აუცილებელ საბიუჯეტო პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და ასიგნებებს.

ბიუჯეტი უნდა ასახავდეს მუნიციპალურ დაქვემდებარებაში არსებული საგანმანათლებლო და კულტურული დაწესებულებების მოდერნიზებისა და განვითარებისათვის საჭირო ასიგნებებს, ასევე კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამები უნდა დაეფუძნოს შესაბამისი სფეროების განვითარების სტრატეგიულ პრიორიტეტებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი